არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირი

# "პროფესიო - პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი"

# წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2022

## მუხლი პირველი
### ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **"პროფესიო - პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი"** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) შექმნილია დამფუძნებლების გადაწყვეტილებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: **"პროფესიო - პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი"**

1.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართია: **რუსთავი,** მეგობრობის VII

ფოსტა: professio.soc@gmail.com

1.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წარმოიშობა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს არაგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

1.6. სახელმწიფო პასუხს არ აგებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებზე.

1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

## უხლი მეორე
### მიზნები და საქმიანობა

2.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ძირითადი მიზანია:

**ა) ხელი შეუწყოს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას;**

**ბ) შექმნას ხელმისაწვდომი განვითარების საშუალება საზოგადოების ყველა ფენისთვის;**

**გ) ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა;**

**დ) მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება და განვითარება;**

**ე) თანატოლთა განათლების ხელშეწყობა;**

**ვ) გარემოსდაცვითი და ეკო ცნობიერების ამაღლება;**

**ზ) სამოქალაქო აქტივობის გაძლიერება;**

**თ) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობა;**

**ი) სხვა კანონით ნებადართული საქმიანობების განხორციელება.**

2.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნის განხორციელებას;

2.3 სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ მისი მიზნების მიღწევას.

## მუხლი მესამე
დამფუძნებლები

3.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები და მუდმივი წევრები:
1. გიორგი თვალიაშვილი - პ/ნ 35001049291, ქ. რუსთავი, ლესელიძის ჩიხი 13ა, დაბადების თარიღი: 22.10.1985წ.
2. ლაშა პაპიაშვილი - პ/ნ 35001045496, ქ. რუსთავი, მესხიშვილის 10 ა - 40, დაბადების თარიღი: 27.01.1984წ.

## მუხლი მეოთხე
მმართველი და აღმასრულებელი ორგანოები

4.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უმაღლესი მმართველი ორგანოა დამფუძნებლები;
4.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოა პრეზიდიუმი.

## მუხლი მეხუთე
მმართველი ორგანო

5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უმაღლესი მმართველი ორგანოა დამფუძნებლები და ისინი იღებენ გადაწყვეტილებას.
5.2. დამფუძნებლების კომპეტენციაა:
ა) წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;
ბ) საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ბიუჯეტისა და მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება;
გ) პრეზიდიუმის წევრების არჩევა, მათი განთავისუფლება;
დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ე) საქმიანობის წლიური შედეგების განხილვა და დამტკიცება;
ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ და ქონების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.
ზ) დამფუძნებლების შეკრება ტარდება 3 თვეში ერთხელ ან საჭიროების მიხედვით და მას იწვევს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, ან დამფუძნებლების ორივე წევრის მოთხოვნით.
თ) პრეზიდენტი ვალდებულია მოწვევის შესახებ შეკრების ჩატარების დღემდე ორი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს დამფუძნებლებს.
ი) დამფუძნებელს, რომელიც ვერ ესწრება შეკრებას, უფლება აქვს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს წერილობით. ის უთანაბრდება შეკრებაზე დამსწრე დამფუძნებელს.
კ) დამფუძნებელთა შეკრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან წერილობით მონაწილეობას იღებს ორივე დამფუძნებელი.
ლ)მმართველობითი ორგანოს გადაწყვეტილუნარიანია მაშინ როცა შეკრებას ესწრება ორივე დამფუძნებელი.
მ) დამფუძნებლები გადაწყვეტილებას იღებენ მაშინ როცა შეკრებას ესწრება ორივე დამფუძნებელი.

## მუხლი მეექვსე

### პრეზიდიუმი

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოა პრეზიდიუმი.

6.2. პრეზიდიუმი ატარებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პოლიტიკას ცხოვრებაში. წარმართავს მის საქმიანობას დამფუძნებლების გადაწყვეტილებებს შორის პერიოდში;

6.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდიუმს ირჩევენ დამფუძნებლები 4 წლის ვადით. პრეზიდიუმის უფლებამოსილება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი პრეზიდიუმის არჩევამდე;

6.4. პრეზიდიუმის სხდომები ტარდება 3 თვეში ერთხელ ან საჭიროების მიხედვით და მას იწვევს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, ან პრეზიდიუმის წევრთა სულ ცოტა 1/3-ის მოთხოვნით.

6.5. პრეზიდენტი ვალდებულია მოწვევის შესახებ სხდომის ჩატარების დღემდე ორი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს პრეზიდიუმის წევრებს.

6.6. პრეზიდიუმის იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, უფლება აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ წერილობით. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე პრეზიდიუმის წევრს.

6.7. პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

6.8. პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტის დასწრებით.

6.9. პრეზიდენტს აქვს უფლება რაიმე რთული საკითხის გადაწყვეტის დროს პრეზიდიუმში სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს ექსპერტები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

6.10. პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ღია კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია პრეზიდენტის ხმა.

6.11. პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლების წინაშე.

6.12. პრეზიდიუმი შედგება არანაკლებ ორი წევრისაგან. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობა შეიძლება გაზრდილი ან შემცირებული იქნას.

6.13. პრეზიდიუმს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა პრეზიდიუმის წევრთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით. პრეზიდენტი აირჩევა ღია ან ფარული კენჭისყრით. პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნას 3 წლით უწყვეტად, არაუმეტეს ხაშ წლის ვადით. პრეზიდენტი პრეზიდიუმის წევრია.

6.14. პრეზიდიუმის კომპეტენციაა.

ა) პრეზიდიუმის ყოველწლიური ბიუჯეტის შედგენა, მისი შესრულების განხილვა-დამტკიცება, ასევე მასში გათვალისწინებულ ხარჯებზე კონტროლის დაწესება.

ბ) პრეზიდიუმის საქმიანობის დებულების, რეგლამენტის, წესების შემუშავება-დამტკიცება.

გ) ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა.

დ) სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებისა და საქმიანობის, საწარმოების დაფუძნების მიზანშეწონილობის განსაზღვრა.

ე) კანონით დადგენილი წესით, სამეურნეო სტრუქტურების ჩამოყალიბება, საწარმოების შექმნა, საჭიროების შემთხვევაში მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ვ) არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ დამფუძნებლების საწარმოს ხელმძღვანელობის შერჩევა, დამტკიცება და მათთან კონტრაქტების გაფორმება, კანონმდებლობის შესაბამისად.

ზ) მთელი ქონების, ფინანსების მატერიალური და არამატერიალური აქტივების ღირებულების დადგენა, აგრეთვე მფლობელობაში მყოფი ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და მათი მუშაობის გაუმჯობესების გზების დასახვა.

თ) დამატებითი მიზნობრივი გადასახადების დაწესება, შტატიანი თანამშრომლების, მოწვეული სპეციალისტებისა და მმართველი ორგანოების წევრთა შრომითი ანაზღაურების განსაზღვრა.

ი) სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

ლ) ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების, საგარეო ეკონომიკური კონტაქტების დამყარება.

კ) საქართველოს და საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილებების მიღება.

ნ) სტიპენდიების და პრემიების დანიშვნა და მათი რაოდენობის განსაზღვრა;

## მუხლი მეშვიდე
### პრეზიდიუმის წევრები

7.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდიუმის მუდმივი წევრები:

1. გიორგი თვალიაშვილი - პ/ნ 35001049291, ქ. რუსთავი, ლესელიძის ჩიხი 13ა, დაბადების თარიღი: 22.10.1985წ.
2. ლაშა პაპიაშვილი - პ/ნ 35001045496, ქ. რუსთავი, მესხიშვილის 10 ა - 40, დაბადების თარიღი: 27.01.1984წ.

## მუხლი მერვე
### წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

8.1. არასამეწარმეო იურიდიული პირის ერთპიროვნული წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევს პრეზიდიუმი 3 წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით.
8.3. პრეზიდენტი წარმართავს არასამეწარმეო იურიდიული პირის ყოველდღიურ საქმიანობას. იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, დამფუძნებლებისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით.
8.4. არასამეწარმეო იურიდიული პირის პრეზიდენტი:
ა) მოქმედებს არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელით, მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას როგორც ქვეყნის შიგნით (სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში), ისე მის ფარგლებს გარეთ. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელით დებს ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, მიყავს მოლაპარაკებები, გასცემს მინდობილობებს. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა საჭიროებს დამფუძნებლების თანხმობას;
ბ) ხელმძღვანელობს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას, ხელმძღვანელობს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიმდინარე საქმიანობას;
გ) კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშებს;
დ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას;
ე) უზრუნველყოფს დამფუძნებლებისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ანაწილებს ფუნქციებს პრეზიდიუმის წევრებს შორის;
ვ) ხსნის არასამეწარმეო იურიდიული პირის საბანკო ანგარიშებს დახელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს;
ზ) უზრუნველყოფს არასამეწარმეო იურიდიული პირის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას;
თ) მოითხოვს ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
ი) უზრუნველყოფს საქმის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
კ) დებს შრომით ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს) არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელით;
ლ) ასრულებს ამ წესდებით დადგენილ და მისი კომპეტენციის ფარგლებში აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხასიათის სხვა ფუნქციებს.
8.5. პრეზიდენტთან შეიძლება შეიქმნას არასამეწარმეო იურიდიული პირის ადმინისტრაციული აპარატი, რომლის დებულებას, საშტატო განრიგსა და სტრუქტურას ამტკიცებს პრეზიდიუმი.
8.6. პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია არასამეწარმეო იურიდიული პირის პრეზიდიუმის და დამფუძნებლების წინაშე.
8.7. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:
გიორგი თვალიაშვილი - პ/ნ 35001049291, ქ. რუსთავი, ლესელიძის ჩიხი 13ა, დაბადების თარიღი: 22.10.1985წ.

## მუხლი მეცხრე
### დაფინანსების წყაროები

9.1. არასამეწარმეო იურიდიული პირის შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შემოწირულობებით, როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული სახსრებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, გრანტებით და სხვა ნებადართული მოზიდული სახსრებით.

## მუხლი მეათე
### ქონება და სახსრები

10.1. არასამეწარმეო იურიდიული პირი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით.
10.2. არასამეწარმეო იურიდიული პირის უძრავი და მოძრავი ქონება პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით ნებადართული საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის.
10.3. არასამეწარმეო იურიდიული პირი არ აგებს პასუხს მისი ცალკეული წევრის ან ჯგუფის, ან სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებზე, ისევე როგორც მისი წევრები და სახელმწიფო არ აგებს პასუხს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ აღებულ ვალდებულებებზე.

## მუხლი მეთერთმეტე
### ცვლილებები წესდებაში. სარეგისტრაციო ფაქტები

11.1. ცვლილებები არასამეწარმეო იურიდიული პირის წესდებაში შეიტანება ამ წესდებით დადგენილი წესით.
11.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს, სათანადო წესით დამოწმებული სახით უნდა წარედგინოს არასამეწარმეო იურიდიული პირის მარეგისტრირებელ ორგანოს.
11.3. არასამეწარმეო იურიდიული პირის პრეზიდიუმი ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის.
11.4. კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ ნებისმიერი სარეგისტრაციო ფაქტი ძალმოსილია მხოლოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

## მუხლი მეთორმეტე
### რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

12.1. არასამეწარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.2. არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მისი წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. არასამეწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებლები.
12.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
12.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

12.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს სარეგისტრაციო განაცხადით განსაზღვრავს არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს.

12.6. თუ დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლებიც ემსახურებიან იმავე ან მსგავს მიზნებს, როგორსაც ლიკვიდირებული ორგანიზაცია. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ.

12.7. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი მთელი ქონება განაწილდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

12.8 სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

## მუხლი მეცამეტე
დასკვნითი დებულებები

13.1. თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდა წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არანაირად არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში, დანარჩენი დებულებები ძალაში რჩება ბათილი დებულებების გარეშე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები:

1. გიორგი თვალიაშვილი (პრეზიდენტი)

2. ლაშა პაპიაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №2187
თარიღი 18. 08. 2022 წ.
გვ. რაოდენობა 07 ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №338
თარიღი "25" 2022 წ.
გვ. რაოდენობა 7 ხელმოწერა